მომსახურეობის ხელშეკრულება № 43

ქ. ჯვარი

„24 - მაისი“ 2017 წ.

ერთი მხრივ, სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ (შემდგომში „შემკვეთი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ პირი თეანა ქუხილავას სახით, მეორეს მხრივ, მცირე მეწარმე - რამაზი შეროზია, პირადობის № 51001021356, მისამართი: ქ. ჯვარი, (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი რამაზ შეროზიას სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება მომსახურეობის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მიმწოდებელმა

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემკვეთი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი“ – ინდ. მეწარმე, რომელიც იღებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ავტოსატრანსპორტო მომსახურეობის გაწევა.

2.2 მომსახურეობა მოიცავს: 2017 წლის 26 მაისს ქ. ფოთში ტრანსპორტირებას პროფესიული განათლების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად.

CPV –60100000 - ავტოსატრანსპორტო მომსახურეობები მარშრუტით ჯვარი - თბილისი - ჯვარი.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 200 (ორას) ლარს;

3.2. დაფინანსების წყარო - 2017 წლის ვაუჩერული დაფინანსება.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები მიმწოდებლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. აღნიშნული მომსახურეობა ჩაითვლება დასრულებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება გაწეული მომსახურეობის დასრულებისას.

9. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში შემსრულებელთან.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 24 მაისიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

12.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა"-ს

დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით,

მისამართი: ქ. ჯვარი-,ყაზბეგის ქ. №2

ტელ: 595 50 67 32

ს/კ 242728679

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა

შემსრულებელი:

ინდ. მეწარმე - რამაზი შეროზია

მისამართი: ქალაქი ჯვარი

პ/№ 51001021356

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი:LBRTGE22

ტელ: 591 23 22 78

ა/ა №GE82LB0711189405623000

რამაზი შეროზია